საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო
MINISTRY OF ECONOMY AND SUSTAINABLE DEVELOPMENT OF GEORGIA

საჯარო სამართლის იურიდიული პირი
ტექნიკური და სამშენებლო
ზედამხედველობის სააგენტო

LEGAL ENTITY OF PUBLIC LAW
TECHNICAL AND CONSTRUCTION
SUPERVISION AGENCY

0186, თბილისი, ა. პოლიტკოვსკაიას ქ. N8 ტელ: (+995 32 ) 293-27-32 WEB: www.TACSA.gov.ge
8 A. Politkovskaia Str. 0186 Tbilisi, Georgia Tel: (+995 32) 293-27-32

KA020135442447521

№ 04/444

02 / აპრილი / 2021 წ.

შპს „სოკარ ჯორჯია პეტროლეუმი"-ს
წარმომადგენელს
ბატონ ზურაბ ნადირაძეს
მის: ქალაქი თბილისი ბახტრიონის ქუჩა N29,
სადარბაზო N3, სართ.N7, ბინა N68

ბატონო ზურაბ,

სააგენტომ განიხილა თქვენი 2021 წლის 30 მარტის განცხადება (სააგენტოში რეგისტრაციის N572 30.03.2021წ) და თანდართული დოკუმენტაცია, რომელიც ეხება ქალაქ სამტრედიაში, ბახტაძის ქუჩა, I ჩიხი N23-ში, (ს/კ N34.08.71.086) ნავთობის და ნავთობპროდუქტების საცავის რეკონსტრუქციაზე არქიტექტურული პროექტის, კონსტრუქციული და ტექნოლოგიური სქემების შეთანხმების და მშენებლობის ნებართვის გაცემის საკითხს.

„განსაკუთრებული მნიშვნელობის ობიექტების (მათ შორის, რადიაციული ან ბირთვული ობიექტების) მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის N257 დადგენილების 36-ე და 38-ე მუხლების შესაბამისად წარმოსადგენია:

- N257 დადგენილების შესაბამისად შევსებული განცხადება (იხ. დანართი N1);

- არსებული სიტუაციის ამსახველი განახლებული ფოტომასალა გადაღების თარიღის მითითებით;

- შენობა-ნაგებობების ტექნიკურ - ეკონომიკური მაჩვენებლები (მეათედების სიზუსტით) (იხ. დანართი N2);

- გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება;

- სიტუაციური გეგმა – მ 1:2000 ან მ 1:1000;

- სსიპ აკრედიტაციის ერთიანი ეროვნული ორგანოს - აკრედიტაციის ცენტრის მიერ აკრედიტებულ „A ტიპის ინსპექტირების ორგანო"-ს მიერ შესრულებული საექსპერტო შეფასებები საინჟინრო-გეოლოგიურ კვლევაზე, კონსტრუქციულ სქემაზე და ტექნოლოგიურ სქემაზე;

- ობიექტის მშენებლობის დამოწმებული ხარჯთაღრიცხვა და სანებართვო მოსაკრებლის გადახდის დამადასტურებელი საბუთი.

ამასთან მოგახსენებთ, რომ 2000 მ3 მოცულობის, ვერტიკალური ტიპის, სახანძრო წყლის საპროექტო რეზერვუარის გარშემო არ არის გათვალისწინებული სამარაგო წყლის ავარიული დაქცევის შემაკავებელი შემოზვინვა, შესაბამისად დარღვეულია საქართველოში მოქმედი ნორმებისა და წესების მოთხოვნები.

ვთ 15 სამუშაო დღის ვადაში წარმოადგინოთ სააგენტოში აღნიშნული დოკუმენტაცია. აღნიშნულ ვადაში კუმენტაციის წარმოუდგენლობის შემთხვევაში მიმდინარე განაცხადი დარჩება განუხილველი.

დანართი: 2 ფურცელი.

სსიპ ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტოს უფროსი

ხელმოწერილია/ შტამპდასმულია ელექტრონულად

გიორგი გეჯაძე